



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 92

ქალაქი ქუთაისი 23 მარტი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20

სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 სხდომა მ/წლის 30 მარტს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი №3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-20 სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის – სოციალურ საკითხთა და იმულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის დებულებისა და ბეჭდის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი

4. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობი პროგრამა „კორპუსის“ განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვ.ნაკაშიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და
განვითარების სამსახურის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისში, ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩისათვის ქართველი კინორეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1-ლი ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ბ. ჭიიშვილი
მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის
სამსახურის უფროსი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

ქალბატონი ნ.ქათამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

ბატონი ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

ბატონი დ.დვალი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.